



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური  
სადოქტორო პროგრამა “ფილოლოგია”

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი  
02.07.22

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი  
2022

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფილოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ფილოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0232
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი; სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა.
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული  N253 18.12.2019

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვთისო მამისიმედიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა**

▪ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს, 4 წლის ვადით, ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით. გადაწყვეტილება #253 18. 12. 2019. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 6 თვე. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 01.07.2020. დაწესებულებამ ვადის დაცვით წარმოადგინა ანგარიში, რომელიც განიხილა აკრედიტაციის ექსპერტმა და წარედგინა აკრედიტაციის ექსპერტთა საბჭოს 18.09.2020. ექსპერტთა საბჭომ მოისმინა უნივერსიტეტის ანგარიში და ექსპერტის დასკვნა, აკრედიტაციის დებულების 27 მუხლის მე-2 პუნქტის, 2 პუნქტის, 3 მუხლის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ მიიღო ცნობად და მიმართა ცენტრს შუამდგომლობით საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. მონიტორინგი განხორციელდა 2022 წლის დასაწყისში, 2022 წლის 4 თებერვალს აკრედიტაციის საბჭომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრა 60 კალენდარული დღე. სულ გამოთქმული იყო 11 რეკომენდაცია და 4 რჩევა.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 1 22 0000532363 (23/05/2022) თანახმად, „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 4 თებერვლის სხდომაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი.

მონიტორინგის დროს განხილული იყო ყველა რეკომენდაცია და რჩევა. შემოწმდა წარმოდგენილი პროგრამა II სტანდარტის 2. 1; 2. 3; 2. 6 და V სტანდარტის 5.2 კომპონენტის მიხედვით.

● საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პირველი სტანდარტი არ შეფასდა.

მეორე სტანდარტის ის პუნქტები, რომლებიც შეფასდა, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მესამე სტანდარტი არ შეფასდა.

მეოთხე სტანდარტი არ შეფასდა.

მეხუთე სტანდარტის ის პუნქტი, რომელიც შეფასდა, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისოდ აღიარებული ენებიდან: გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ერთ-ერთი B2 დონეზე. ხოლო, თუ დოქტორანტი კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებს, განისაზღვროს ამ ენებისათვის C1 დონე. ამასთან, რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გათვალისწინებული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში.
- კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სამიდან ერთი კვლევითი ნაშრომი მაინც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში ჩართულ უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS).

- რეკომენდებულია, სერტიფიკატის წარმოდგენის გარდა, უნივერსიტეტმა შესთავაზოს აპლიკანტს ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარება ქართული ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გათვალისწინებული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში.
  - სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურა უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ სასწავლო რესურსს და არა საბიბლიოთეკო საცავების ბმულებს.
  - გარე შეფასების რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენებისთვის აუცილებელია გაუმჯობესების გზების დასახვა და სამოქმედო გეგმის შემუშავება დროითი განაწილებით და ჩართული პერსონალის/საუნივერსიტეტო ორგანოების განსაზღვრა.
  - დისკუსიაზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, საჭიროა შიდა შეთანხმების მიღწევა იმაზე, თუ რომელი რეკომენდაცია რა ფორმით და მოცულობით უნდა იყოს გათვალისწინებული და როგორ განხორციელდეს. ვინაიდან რეკომენდაციების ნაწილი მოცემული პუნქტების გაუმჯობესებისთვის საკმაოდ დიდ ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს, საჭიროა კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება, კონკრეტულ პუნქტზე მომუშავე პერსონალის განაწილება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა საერთო საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო დონეზე.
  - რეკომენდებულია, გარე ხარისხის ნაწილში გამოთქმული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყოს ახალი პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების დროს.
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
  - ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს, 4 წლის ვადით, თუმცა დაწესდა ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება 6 თვის ვადაში. 2020 წელს, დადგენილ ვადაში, დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში, რომელიც განიხილა აკრედიტაციის ექსპერტმა და წარედგინა აკრედიტაციის ექსპერტთა საბჭოს 18.09.2020. აკრედიტაციის საბჭომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ მიიღო ცნობად და მიმართა ცენტრს შუამდგომლობით საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

წარმოდგენილ პროგრამაზე 2019 წლის აკრედიტაციისას გამოითქვა 11 რეკომენდაცია და 4 რჩევა. 2020 წლის ანგარიშისათვის დაწესებულებამ მხოლოდ რეკომენდაციებზე წარმოადგინა მსჯელობა. როგორც აღინიშნა, აკრედიტაციის საბჭომ არ მიიღო ანგარიში ცნობად და პროგრამას დაუწესა მონიტორინგი ერთი წლის ვადაში. მონიტორინგი განხორციელდა 2022 წლის დასაწყისში, 2022 წლის 4 თებერვალს აკრედიტაციის საბჭომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით

საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრა 60 კალენდარული დღე.

2022 წლის მონიტორინგის დროს გამოთქმული იყო 11 რეკომენდაცია და 4 რჩევა. დაწესებულებამ წარმოადგინა რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების ანგარიში, სადაც განხილული იყო მხოლოდ 9 რეკომენდაცია და არ იყო მსჯელობა 2 რეკომენდაციასა და რჩევებზე.

დაწესებულების მიერ გამოგზავნილ ანგარიშში მითითებულია, რომ რეკომენდაციათა უმრავლესობა შესრულებულია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობებში კვლავაც გვხვდება გარკვეული შეუსაბამობა. ასევე, კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი უნდა ემყარებოდეს საერთაშორისო პუბლიკაციებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დაწესებულება ემზადება ახალი პროგრამის შემუშავებისათვის და მნიშვნელოვანია, რომ ახალ სადოქტორო პროგრამაში იყოს გათვალისწინებული რეკომენდაციები.

გამოითქვა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისოდ აღიარებული ენებიდან: გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ერთ-ერთი B2 დონეზე. ხოლო, თუ დოქტორანტი კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებს, განისაზღვროს ამ ენებისათვის C1 დონე. ამასთან, რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გათვალისწინებული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში.
- კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სამიდან ერთი კვლევითი ნაშრომი მაინც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში ჩართულ უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS).
- რეკომენდებულია, სერტიფიკატის წარმოდგენის გარდა, უნივერსიტეტმა შესთავაზოს აპლიკანტს ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარება ქართული ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გათვალისწინებული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში.
- სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურა უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ სასწავლო რესურსს და არა საბიბლიოთეკო საცავების ბმულებს.
- გარე შეფასების რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენებისთვის აუცილებელია გაუმჯობესების გზების დასახვა და სამოქმედო გეგმის შემუშავება დროითი განაწილებით და ჩართული პერსონალის/საუნივერსიტეტო ორგანოების განსაზღვრა.

- დისკუსიაზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, საჭიროა შიდა შეთანხმების მიღწევა იმაზე, თუ გარე შეფასების რომელი რეკომენდაცია რა ფორმით და მოცულობით უნდა იყოს გათვალისწინებული და როგორ განხორციელდეს. ვინაიდან რეკომენდაციების ნაწილი მოცემული პუნქტების გაუმჯობესებისთვის საკმაოდ დიდ ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს, საჭიროა კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება, კონკრეტულ პუნქტზე მომუშავე პერსონალის განაწილება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა საერთო საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო დონეზე.
- რეკომენდებულია, გარე ხარისხის ნაწილში გამოთქმული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყოს ახალი პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების დროს.

### დაწესებულების პასუხი და ექსპერტების პოზიცია

- რეკომენდებულია, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისოდ აღიარებული ენებიდან: გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ერთ-ერთი B2 დონეზე. ხოლო, თუ დოქტორანტი კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებს, განისაზღვროს ამ ენებისათვის C1 დონე. ამასთან, რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გათვალისწინებული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულება განმარტავს, რომ მიღების წინაპირობები რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, რადგან პროგრამა არის მრავალკომპონენტური და ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში მოიაზრება როგორც დასავლეთევროპული, ისე აღმოსავლური ფილოლოგია, დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, არაბული ან სპარსული ენების ცოდნის დადასტურება C1 დონეზე, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/ გერმანულ/ფრანგულ ენას, შეუძლია გამოცდის ჩაბარება რუსულ ენაში.

ექსპერტთა აზრით, მრავალკომპონენტური სადოქტორო პროგრამაშიც მნიშვნელოვანია გარკვეული სისტემური სტანდარტიზაცია. როგორც ექსპერტთა დასკვნაშია აღნიშნული, მნიშვნელოვანია, კვლევითი ნაშრომის სრულყოფის, საერთაშორისო სამეცნიერო გამოცდილების გაცნობისა და საკუთარი სამეცნიერო ნაშრომის გაზიარების მიზნით მიღების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისოდ აღიარებული ენებიდან: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ერთ-ერთი B2 დონეზე, ხოლო თუ დოქტორანტი კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებს, განისაზღვროს ამ ენებისათვის C1 დონე.. რაც შეეხება რუსულ ენას, ექსპერტებისათვის ნათელია, რომ რუსული ენა საბჭოთა კავშირის პერიოდში და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც ასრულებდა ერთგვარ ფუნქციას, ამ პროგრამის წინაპირობებშიც მას აქვს დამატებითი უცხო ენის ფუნქცია, თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ დღეს, ქართული სამეცნიერო სივრცის ევროპულ სამეცნიერო სივრცესთან ინტეგრაციის პროცესში დიდი როლი ეკისრება ახალგაზრდა მკვლევრების ზუსტ ორიენტირებას, მათ შორის, საერთაშორისოდ აღიარებულ ენებზე არსებული კვლევების გაცნობისა და გაზიარების მიმართულებით, ასევე, ახალგაზრდა მკვლევრების ნაშრომების საერთაშორისო გაზიარების თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდის მოვლენებმა მკვეთრი მიჯნები დააწესა მათ შორის სამეცნიერო სფეროშიც და შეზღუდა რუსულენოვანი სამეცნიერო სივრცე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია,

ახალგაზრდა მეცნიერების განვითარებაზე ორიენტირებული სადოქტორო პროგრამა პასუხობდეს თანამედროვე ევროპულ სამეცნიერო სივრცესთან ინტეგრირების გამოწვევებს.

- კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სამიდან ერთი კვლევითი ნაშრომი მაინც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში ჩართულ უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS).

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულება მიუთითებს, რომ ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი კომპონენტი სხვა კომპონენტებს შორის არის საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS). ჩართულ უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში ნაშრომის პუბლიკაცია.

ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია ეს იყოს ინტერნაციონალიზაციის არა ერთ-ერთი, არამედ სავალდებულო მოთხოვნა. როგორც ექსპერტთა დასკვნაშია აღნიშნული, ეს რეკომენდაცია 2019 წლიდან არის გამოთქმული და გულისხმობს დოქტორანტების კვლევის საერთაშორისო ხელმისაწვდომობას. რასაკვირველია, ამ ბაზებში არსებულ ჟურნალებში ნაშრომის გამოქვეყნება გულისხმობს საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტიზაციას, ციტირებისა და პუბლიცირების წესების ზედმიწევნით ერთგულებას და სხვ. თუმცა, ვფიქრობთ, ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი ქართული მეცნიერების, მათ შორის, ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური დარგების საერთაშორისო ინტეგრაციისათვის. ამასთან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე, საქართველოს სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალები და კრებულები, რომლებიც არის აღნიშნულ საერთაშორისო ბაზებში.

- რეკომენდებულია, სერტიფიკატის წარმოდგენის გარდა, უნივერსიტეტმა შესთავაზოს აპლიკანტს ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარება ქართული ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გათვალისწინებული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში.

აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება დაეთანხმა.

- სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურა უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ სასწავლო რესურსს და არა საბიბლიოთეკო საცავების ბმულებს.



დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას გაითვალისწინებს ახალ პროგრამაში, რომელიც კლასტერული აკრედიტაციის მიღების მიზნით მუშავდება.

- გარე შეფასების რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენებისთვის აუცილებელია გაუმჯობესების გზების დასახვა და სამოქმედო გეგმის შემუშავება დროითი განაწილებით და ჩართული პერსონალის/საუნივერსიტეტო ორგანოების განსაზღვრა.
- დისკუსიაზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, საჭიროა შიდა შეთანხმების მიღწევა იმაზე, თუ გარე შეფასების რომელი რეკომენდაცია რა ფორმით და მოცულობით უნდა იყოს გათვალისწინებული და როგორ განხორციელდეს. ვინაიდან რეკომენდაციების ნაწილი მოცემული პუნქტების გაუმჯობესებისთვის საკმაოდ დიდ ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს, საჭიროა კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება, კონკრეტულ პუნქტზე მომუშავე პერსონალის განაწილება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა საერთო საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო დონეზე.
- რეკომენდებულია, გარე ხარისხის ნაწილში გამოთქმული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყოს ახალი პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების დროს.

გარე შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულება განმარტავს, რომ პროგრამამ გარე ხარისხის შეფასება გაიარა 2018 წელს და ეს ძველი ვერსია იყო წარმოადენილი 2021 წლის აკრედიტაციის მონიტორინგისათვის. აღსანიშნავია, რომ გარე ხარისხის შეფასებები, რომელიც 2018 წელს მიიღო ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამამ, დიდწილად ემთხვევა 2019 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის რეკომენდაციებს, ასევე, 2021 და 2022 წლის პროგრამის მონიტორინგსა და ანგარიშზე აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნებში ასახულ რეკომენდაციებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ეს რეკომენდაციები კიდევ ერთხელ იქნას განხილული ახალი პროგრამის შემუშავების დროს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა ამჟამად ფუნქციონირებს მიღევად რეჟიმში, დაწესებულებაში მუშავდება განახლებული სადოქტორო პროგრამა კლასტერული აკრედიტაციის მიღების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციები ასახული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში.

### პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები

შესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p><b>1.1 პროგრამის მიზნები</b></p>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>○</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <p>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p>

<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
---

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმწისაწვდომია. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრულია შემდეგი: დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს; დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება</li> </ul>
--

მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით და სადოქტორო პროგრამებით, შეიძლება განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების დამატებითი პირობები. 2019 წლის აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გამოთქმული იყო შემდეგი რეკომენდაცია: “რეკომენდებულია, რომ პროგრამამ მკაფიოდ განაცხადოს, თუ ვის აქვს მასზე დაშვების უფლების მიღების შესაძლებლობა: მსურველი უნდა ფლობდეს მაგისტრის დიპლომს (ან მის ეკვივალენტს)”. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია სადისერტაციო საბჭოს დებულებაში, მუხლი 7. დოქტორანტურის მიღების წინაპირობები, სადაც ვკითხულობთ: “7.1. დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ან განათლების მეცნიერებათა მაგისტრის დიპლომის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს; დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს ”უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით და სადოქტორო პროგრამით, შეიძლება განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების დამატებითი პირობები”. აღნიშნული ინფორმაცია კი არ არის ასახული დაწესებულების მიერ გამოგზავნილ პროგრამის აღწერილობაში, სადაც ვკითხულობთ: “დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს; დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით და სადოქტორო პროგრამებით, შეიძლება განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების დამატებითი პირობები”. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოთქმული იყო შემდეგი რეკომენდაცია: რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდეს სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა.

- სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია აგრეთვე უცხო ენის ცოდნა. კერძოდ, “ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, არაბული ან სპარსული ენების ცოდნის დადასტურება C1 დონეზე (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი, ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატი), თუ დოქტორანტობის კანდიდატი

სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ ენას; ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (შესაბამისი გამოცდის ჩაბარება, ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა). იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, შეუძლია გამოცდის ჩაბარება რუსულ ენაში". აღნიშნულ წინაპირობასთან დაკავშირებით 2019 წლის აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გამოთქმული იყო რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, რომ ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენების ტესტი იდენტიფიცირებული იყოს, როგორც სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, ე.წ. მეორე ენის ტესტის ჩატარების შემთხვევაში, მიზანშეწონილია რუსული, თურქული, სპარსული და სხვა ენების, როგორც მეორე უცხო ენად განხილვა". დაწესებულების მიერ დეკლარირებულია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. აღსანიშნავია, რომ უცხო ენის გამოცდის წინაპირობებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შეუსაბამობები. მნიშვნელოვანია, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისოდ აღიარებული ენებიდან: გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ერთ-ერთი B2 დონეზე. ხოლო, თუ დოქტორანტი კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებს, განისაზღვროს ამ ენებისათვის C1 დონე. აღნიშნული რეგულაციურია ფილოლოგიის ყველა ქვედარგისათვის. მსგავსი წინაპირობა დაეხმარება დოქტორანტებს საერთაშორისო სამეცნიერო გამოცდილების გაცნობაში, ასევე, საკუთარი კვლევითი ნაშრომის ინტერნაციონალიზაციაში. აღსანიშნავია, რომ სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროგრამაზე 2019 წლის აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ, განხორციელებულია რამდენიმე გარე შეფასება, რომლებშიც აღნიშნულია პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და გაცემულია რეკომენდაციები მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულება აღნიშნავს, რომ წინაპირობა შესრულებულია, თუმცა პროგრამაში კვლავ ფიქსირდება შემდეგი წინაპირობა: „იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/ გერმანულ/ფრანგულ ენას, შეუძლია გამოცდის ჩაბარება რუსულ ენაში“. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა წარმოდგენილი სახით არ გააგრძელებს სტუდენტების მიღებას, რადგან უნივერსიტეტი მუშაობს ფილოლოგიის პროგრამის კლასტერული აკრედიტაციისათვის. შესაბამისად, რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გათვალისწინებული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში.

- იმ კანდიდატებისთვის, რომლებისთვისაც მშობლიური ენა არ არის ქართული, სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულია შემდეგი: "აუცილებელია ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი". აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა მიერ გამოთქმული იყო რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, სერტიფიკატის წარმოდგენის გარდა, უნივერსიტეტმა შესთავაზოს აპლიკანტს ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარება ქართული ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით“. დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია: „რეკომენდაცია სრულიად მისაღებია. დაველოდებით სახელმწიფო ენის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, ვინ უნდა გასცეს ქართული ენის სერტიფიკატი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უმოკლეს ვადაში მიიღებს ოფიციალურ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით“. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტს თავად შეუძლია ჩაატაროს ქართული ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით გამოცდა. კანონი სახელმწიფო ენის შესახებ (სარეგისტრაციო ნომერი 010030000.05.001.017899; 22.07.2015, მიუთითებს, რომ გამოცდა სახელმწიფო ენაში სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან შეთანხმებით უნდა ჩაატაროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, თუმცა სახელმწიფო ენის სტრატეგიაში (იხ.<https://enadep.gov.ge/uploads/strategy.pdf> 2022 წლის 20 იანვარი), მითითებულია, რომ გამოცდის ჩატარება კანონით გათვალისწინებული პროცედურებით სახელმწიფო ენაში 2024 წლისთვის იგეგმება. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს დოქტორანტურაში შეუძლია ჩაატაროს გამოცდა ქართულ ენაში, ისევე, როგორც ატარებს საჭიროების შემთხვევაში უცხო ენებში. გამოცდა ქართულ ენაში უნდა ემყარებოდეს ქართული ენის ფლობის დონეებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სადოქტორო პროგრამა
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- სადოქტორო პროგრამის სილაბუსები
- სადოქტორო პროგრამის გარე შეფასებები
- კანონი სახელმწიფო ენის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=5>
- სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სტრატეგია <https://enadep.gov.ge/uploads/strategy.pdf>

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რეკომენდებულია, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისოდ აღიარებული ენებიდან: გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ერთ-ერთი B2 დონეზე. ხოლო, თუ დოქტორანტი კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებს, განისაზღვროს ამ ენებისათვის C1 დონე. ამასთან, რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გათვალისწინებული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში.
- რეკომენდებულია, სერტიფიკატის წარმოდგენის გარდა, უნივერსიტეტმა შესთავაზოს აპლიკანტს ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარება ქართული ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გათვალისწინებული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**



პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- 

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### ○ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები გამიზნულია ფილოლოგიის დარგის კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების მინიჭებისათვის. სასწავლო კომპონენტი, კანონმდებლობის შესაბამისად, შეადგენს 45 კრედიტს. სავალდებულო საგნებია 27 კრედიტი, რაც შეადგენს 4 საგანს: დარგის თანამედროვე კვლევის მეთოდები (ლინგვისტიკა/ლიტერატურათმცოდნეობა); თანამედროვე სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები დარგში; პროფესორის ასისტენტობა (პედაგოგიური პრაქტიკა); სემინარები 1, 2, 3. არჩევითი კურსები შეადგენს 18 კრედიტს და წარმოადგენს ქვედარგების სასპეციალიზაციო კურსებს.

2019 წლის აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გამოთქმული იყო რეკომენდაციები სასწავლო კურსების წინაპირობებთან, ასევე, სასწავლო კურსებში თანამედროვე, უახლესი სასწავლო კურსების მითითებასთან დაავშირებით, რაც დაწესებულების მიერ არ არის ბოლომდე გაზიარებული. კერძოდ, გვხვდება სასწავლო კურსებში რუსულენოვანი სასწავლო მასალის მითითება როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი ლიტერატურის ეგიდით, ასევე, გვხვდება მე-20 საუკუნის 70-იანი და 80-

იანი წლების რუსულენოვანი და სხვაენოვანი სასწავლო ლიტერატურის მითითება და სხვა სახის ხარვეზები.

აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებაში რეკომენდაციებში, პუნქტი 4.ე, აღნიშნულია, რომ ზოგიერთ სილაბუსს აკლია სპეციალიზებული ლიტერატურა და მითითება თანამედროვე კვლევებზე ლინგვისტიკასა და ლიტერატურაში; მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი 2011 წლიდან ჩართულია ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ ონლაინსისტემაში და ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე, ეს შესაძლებლობა არ არის გამოყენებული, რაზეც მეტყველებს მოძველებული ლიტერატურა ცალკეულ სილაბუსებში.

იგივე რეკომენდაცია მოცემულია მე-5 პუნქტის სახით აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 2 ოქტომბრის №936788 ოქმში.

2022 წლის ექპერტთა დასკვნაშიც აღნიშნულია შემდეგი: „მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ცვლილებების ჩამონათვალში ჩანს ამ რეკომენდაციის გაუმჯობესების მცდელობა, წარმოდგენილი სილაბუსების უმეტესი ნაწილი ძირითადად მაინც მოძველებულ ლიტერატურას ეყრდნობა და იშვიათად არის მითითებული თანამედროვე გამოცემები. ზოგ შემთხვევაში მითითებულია პირდაპირ რომელიმე ჟურნალის ვებგვერდი კონკრეტული გამოცემის დაზუსტების გარეშე ან სილაბუსში მითითებულია რომელიმე ელექტრონული ბაზა გაურკვეველი ლიტერატურით და რაც მთავარია, ეს არ არის ასახული სასწავლო მასალაში; უმეტეს შემთხვევაში, სასწავლო მასალა ეყრდნობა მოძველებულ გამოცემებს“ და გაცემულია რამდენიმე რეკომენდაცია.

- „კურსების ნაწილი მოითხოვს დამატებით წინაპირობებს და ენობრივ კომპეტენციებს გერმანულ, სპარსულ, თურქულ ან სხვა ენებში, თუმცა ეს წინაპირობები სილაბუსებში არ არის ნახსენები. მიზანშეწონილია ამ წინაპირობების განსაზღვრა სილაბუსში“. დაწესებულების ანგარიშში მითითებულია, რომ დოქტორანტებს ჩაბარებისას მოეთხოვებათ უცხო ენის ცოდნის დადასტურება და ამდენად, სილაბუსებში მითითებული სხვადასხვაენოვანი ლიტერატურის დამუშავება არ არის რთული ამოცანა დოქტორანტებისათვის. დაწესებულების მიერ გამოგზავნილ სილაბუსებში, როგორც ძირითადი ლიტერატურის ნუსხაში, ისე დამხმარე ლიტერატურაში გვხვდება ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი, გერმანულენოვანი და რუსულენოვანი ლიტერატურა.

- დაწესებულების ანგარიშში გაერთიანებულია სამი რეკომენდაცია: „ზოგიერთი სავალდებულო ან / და არჩევით კურსის სილაბუსს აკლია თანამედროვე სპეციალიზებული ლიტერატურა, ხოლო ლინგვისტიკასა და ლიტერატურაში თანამედროვე კვლევები. მიზანშეწონილია, რომ ეს სილაბუსები მოიცავდეს მითითებებს თანამედროვე კვლევებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2011 წლიდან უნივერსიტეტი მონაწილეობს ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ ონლაინ სისტემაში, ხოლო ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, თუმცა, ეს შესაძლებლობა არც ერთი კვლევითი დარგის მიერ არ არის გამოყენებული“. „სილაბუსებში ასახული სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურა უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ სასწავლო რესურსს და არა საბიბლიოთეკო საცავების ბმულებს“. „აუცილებელია, სასწავლო მასალის აგება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით. არ არის საკმარისი თანამედროვე გამოცემების მხოლოდ მითითება ლიტერატურის სიაში. თუ ასეთი ლიტერატურა მითითებულია, ის უნდა იყოს გამოყენებული და ჩანდეს ყოველკვირეული გეგმის მასალებში“. დაწესებულება აღნიშნავს, რომ პირველი ორი რეკომენდაცია შესრულებულია, ხოლო მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მითითებულია: „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული სილაბუსის ფორმატი არ ითვალისწინებს ლიტერატურის ასახვას (გარდა სილაბუსებში დაფიქსირებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურისა) ყოველკვირეული გეგმის მასალებში, თუმცა, დოქტორანტებთან მუშაობის პროცესში ზუსტდება კონკრეტული მასალებიც და დოქტორანტები თავადაც იძიებენ მითითებული სამეცნიერო ბაზების თუ ბეჭდური ლიტერატურის გამოყენებით მათთვის საჭირო ახალ მასალას. ეს, ვფიქრობთ, ზრდის მათი დამუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევების ხარისხს“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად უნდა ითქვას შემდეგი: ანგარიშზე თანდართულ სილაბუსებში, სულ 7 სილაბუსი, მითითებულია თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა, შესაბამისად, მეხუთე და მეექვსე რეკომენდაციები შესრულებულია, თუმცა, მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლავაც მითითებულია ელექტრონული სამეცნიერო ბაზები კონკრეტული სამეცნიერო ნაშრომების გარეშე. რასაკვირველია, დოქტორანტების ჩართვა სამეცნიერო ნაშრომების მოძიების საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის დროს, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა სასწავლო კურსის სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურა იყოს სრულფასოვნად მითითებული.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურა უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ სასწავლო რესურსს და არა საბიბლიოთეკო საცავების ბმულებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
